

შპს “მემო”

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს “მემო”

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა2-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11-29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მემო“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მემო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

იქიდან გამომდინარე, რომ წინასწარ ინფორმაციას არ ვფლობდით ხელმოწერა ჩავატარებდით თუ არა 2019 წლის აუდიტის კლიენტთან, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2019 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 3,350,247 ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს კომპანიის საღარიბოში ჩატარებულ ფულის დათვლის პროცედურას. შესაბამისად ვერ დავადასტურეთ 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი

ფულის რაოდენობა სალაროში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 237,212 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-ის შესაბამისად, რომელზეც 2019 წლის 27 სექტემბერს გავცეით პირობითი მოსაზრება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

გარიგების პარტნიორი

კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“



ირაკლი ჭილაძე

გარიგების პარტნიორი



შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.19	31.12.18
აქტივები			
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	3	3,026,245	-
ძირითადი საშუალებები	4	681,627	667,803
არამატერიალური აქტივები		38,454	46,360
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,746,326	714,163
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	3,350,247	3,225,116
დებიტორული დავალიანება	6	1,996,392	2,176,983
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	535,800	195,865
სულ მიმდინარე აქტივები		5,882,439	5,597,964
სულ აქტივები		9,628,765	6,312,127
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8	1,475,542	951,620
სულ საკუთარი კაპიტალი		1,475,542	951,620
ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	9	586,416	74,302
საიჯარო ვალდებულებები		2,824,643	-
კრედიტორული დავალიანება	10	195,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,606,591	74,302
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	160,719	385,278
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		468,203	-
კრედიტორული დავალიანება	10	3,860,048	4,740,689
საგადასახადო ვალდებულებები		57,662	160,238
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,546,632	5,286,205
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,628,765	6,312,127

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თ. ჯიქია
თემურ ქომეთიანი
დირექტორი



ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.19	31.12.18
აქტივები			
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	3	3,026,245	-
ძირითადი საშუალებები	4	681,627	667,803
არამატერიალური აქტივები		38,454	46,360
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,746,326	714,163
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	3,350,247	3,225,116
დებიტორული დავალიანება	6	1,996,392	2,176,983
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	535,800	195,865
სულ მიმდინარე აქტივები		5,882,439	5,597,964
სულ აქტივები		9,628,765	6,312,127
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	8	1,475,542	951,620
სულ საკუთარი კაპიტალი		1,475,542	951,620
ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	9	586,416	74,302
საიჯარო ვალდებულებები		2,824,643	-
კრედიტორული დავალიანება	10	195,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,606,591	74,302
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	160,719	385,278
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი		468,203	-
კრედიტორული დავალიანება	10	3,860,048	4,740,689
საგადასახადო ვალდებულებები		57,662	160,238
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,546,632	5,286,205
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,628,765	6,312,127

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თემურ ქომეთიანი
დირექტორი

ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		28,751,384	27,253,746
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(25,055,560)	(23,945,097)
ამონაგები	11	3,695,824	3,308,649
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(4,809,163)	(4,296,891)
საოპერაციო მოგება		(1,113,339)	(988,242)
სხვა შემოსავალი		13,697	7,630
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(179,146)	(6,067)
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	13	2,042,721	1,264,668
საპროცენტო ხარჯი	9	(240,011)	(44,309)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		523,922	233,680
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		523,922	233,680

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თემურ ქომეთიანი
დირექტორი



ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		28,751,384	27,253,746
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(25,055,560)	(23,945,097)
ამონაგები	11	3,695,824	3,308,649
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(4,809,163)	(4,296,891)
საოპერაციო მოგება		(1,113,339)	(988,242)
სხვა შემოსავალი		13,697	7,630
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(179,146)	(6,067)
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	13	2,042,721	1,264,668
საპროცენტო ხარჯი	9	(240,011)	(44,309)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		523,922	233,680
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		523,922	233,680

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თემურ ქომეთიანი
დირექტორი

ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		523,922	233,680
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	581,151	219,726
საექვო მოთხოვნების ანარიცხი		37,751	183,570
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		179,146	6,067
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(12,909)	-
საპროცენტო ხარჯი		240,011	44,309
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		163,645	(787,837)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(125,131)	(356,362)
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(102,576)	139,850
ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში		(521,961)	-
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		(873,048)	838,039
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		90,001	521,042
გადახდილი პროცენტები		(20,513)	(44,309)
საოპერაციო საქმ. გამოყენებული წმ. ფულადი ნაკადები		69,488	476,733
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	-	(276,203)
საინვესტიციო საქმ. გამოყენებული წმ. ფულადი ნაკ.		-	(276,203)
ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან			
სესხების ათვისება		648,360	80,000
სესხების დაფარვა		(384,970)	(398,158)
ფინანსური ოპერ. გენერ. (გამოყ.) წმ. ფულ. ნაკადები		263,390	(318,158)
ფული და ფულის ექვივალენტები			
ნაშთი წლის დასაწყისში		195,865	313,549
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		332,878	(117,628)
სავალ. კურს. ცვლილ.ს გავლენა ფულად სახს. და მათ ეკვ.		7,057	(56)
ნაშთი წლის ბოლოს		535,800	195,865

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.



თემურ ქომეთიანი
დირექტორი





ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		523,922	233,680
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	581,151	219,726
საექვო მოთხოვნების ანარიცხი		37,751	183,570
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება		179,146	6,067
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(12,909)	-
საპროცენტო ხარჯი		240,011	44,309
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		163,645	(787,837)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(125,131)	(356,362)
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(102,576)	139,850
ცვლილება საიჯარო ვალდებულებებში		(521,961)	-
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		(873,048)	838,039
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		90,001	521,042
გადახდილი პროცენტები		(20,513)	(44,309)
საოპერაციო საქმ. გამოყენებული წმ. ფულადი ნაკადები		69,488	476,733
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	-	(276,203)
საინვესტიციო საქმ. გამოყენებული წმ. ფულადი ნაკ.		-	(276,203)
ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან			
სესხების ათვისება		648,360	80,000
სესხების დაფარვა		(384,970)	(398,158)
ფინანსური ოპერ. გენერ. (გამოყ.) წმ. ფულ. ნაკადები		263,390	(318,158)
ფული და ფულის ექვივალენტები			
ნაშთი წლის დასაწყისში		195,865	313,549
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		332,878	(117,628)
სავალ. კურს. ცვლილ.ს გავლენა ფულად სახს. და მათ ეკვ.		7,057	(56)
ნაშთი წლის ბოლოს		535,800	195,865

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თემურ ქომეთიანი
დირექტორი

ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი იანვარი 01, 2018	-	717,940	717,940
მოგება / (ზარალი)	-	233,680	233,680
ნაშთი დეკემბერი 31, 2018	-	951,620	951,620
მოგება / (ზარალი)	-	523,922	523,922
ნაშთი დეკემბერი 31, 2019	-	1,475,542	1,475,542

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.



თემურ ქომეთიანი
დირექტორი



ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მემო“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი იანვარი 01, 2018	-	717,940	717,940
მოგება / (ზარალი)	-	233,680	233,680
ნაშთი დეკემბერი 31, 2018	-	951,620	951,620
მოგება / (ზარალი)	-	523,922	523,922
ნაშთი დეკემბერი 31, 2019	-	1,475,542	1,475,542

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

თემურ ქომეთიანი
დირექტორი

ზაზა სარჯველაძე
ფინანსური დირექტორი

შინაარსი

1	ზოგადი ინფორმაცია	11
2	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3	IASB-ს მიერ გამოცემული მოქმედი და სამომავლო სტანდარტების განმარტებები	18
4	ძირითადი საშუალებები	21
5	სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	22
6	დებიტორული დავალიანება	22
7	ფული და ფულის ეკვივალენტები	22
8	კაპიტალი.....	23
9	სასესხო ვალდებულებები	23
10	კრედიტორული დავალიანება	23
11	ამონაგები.....	24
12	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	24
13	შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	24
14	მოგების გადასახადი	25
15	გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
16	ფინანსური რისკების მართვა	25
17	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
18	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა.....	28
19	მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	29

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „მემო“ (შემდგომში „კომპანია“), სარეგისტრაციო ნომერით - 400012295, არის 2010 წლის 3 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გ.ჭყონდიდელის ქ. N87.

კომპანიის წილი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

თემურ ქომეთიანი	50%
ოსებ ლუდუშაური	50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასურსათო და სხვა წვრილმანი საყოფაცხოვრებო საცალო გაყიდვები. 2019 და 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას იჯარით აქვს აღებული 1 საწყობი და 1 მაღაზია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 229 (2018 - 229).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა საფაქრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

საფაქრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის კლასისთვის, რადგან იგი ყველაზე მეტად ასახავს მიღებულ სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას, ხოლო დანარჩენი კლასისთვის ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
შენობა-ნაგებობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდი ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

3 IASB-ს მიერ გამოცემული მოქმედი და სამომავლო სტანდარტების განმარტებები

მოქმედი სტანდარტები

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი სააღრიცხვო სტანდარტების დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

კომპანიას არ დაუწერგავს არც ერთი სტანდარტი, ცვლილება ან შესწორება, რომელიც უკვე გამოცემულია, თუმცა ძალაში შესული არ არის.

კომპანიამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16-ს გავლენა არ ჰქონია იმ იჯარებზე, რომელშიც კომპანია მეიჯარეა.

კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. ამ მეთოდით, სტანდარტი რეტროსპექტულად გამოიყენება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების კუმულაციური ეფექტით, რომელიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში აღიარდება. კომპანიამ გადაწყვიტა გადასვლის პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება, რაც სტანდარტის მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან გამოყენების საშუალებას იძლევა, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში იჯარებად განისაზღვრა ბასს (IAS) 17 და ფაისკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით. კომპანიამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში გამოყენებინა აღიარებასთან დაკავშირებული გამოწვევები საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებსაც დაწყების თარიღში აქვთ 12 ან ნაკლები საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა, 12-თვიანი ან ნაკლები ვადით), ასევე საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალფასიანია (დაბალი ღირებულების მქონე აქტივები, მაგ. პერსონალური კომპიუტერები).

ფასს (IFRS) 16-ის მიღების ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

აქტივები

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	3,409,904
დებიტორული დავალიანება	(7,593)
სულ აქტივები	3,402,310

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები	3,409,904
დარიცხული ხარჯები	-
სულ ვალდებულებები	3,409,904

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფასს (IFRS) 16-ის მიღებამდე, კომპანიამ მისი თითოეული იჯარა (როგორც მოიჯარემ) დააკლასიფიცირა იჯარის ვადის დასაწყისში როგორც ფინანსური ან ჩვეულებრივი იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდებოდა, თუ ის კომპანიას გადასცემდა საიჯარო აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს; სხვა შემთხვევაში ის ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიცირდებოდა. ჩვეულებრივ იჯარაში, იჯარით გაცემული ქონების კაპიტალიზაცია არ მოხდა და საიჯარო გადასახდელები აღიარდა საიჯარო ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში.

კომპანიამ გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები აღიარა ადრე ჩვეულებრივ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები იჯარების უმეტესობისთვის აღიარდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ზოგიერთ იჯარაში, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები აღიარდა საიჯარო ვალდებულებების თანხის ოდენობით, რომელიც კორექტირდება ადრე აღიარებული ნებისმიერი ავანსად გადახდილი და დარიცხული საიჯარო გადასახდელების გათვალისწინებით. საიჯარო ვალდებულებები აღიარდა ნარჩენი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

კომპანიამ შემდეგი პრაქტიკული გამოცდილება, როგორებიცაა:

- იჯარების მსგავს კონტრაქტებთან მიმართებაში იყენებს დისკონტირების ერთ განაკვეთს, გონივრულ ფარგლებში მსგავსი მახასიათებლებით (ვადიანობა, ვალუტა);
- ეყრდნობოდა იმის შეფასებას, არის თუ არა იჯარები შეზღუდული თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე;
- გამოიყენებს მოკლევადიანი იჯარების გამონაკლისებს საჭიროებისამებრ იმ იჯარებთან, რომელთა საიჯარო ვადა თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვეში დასრულდება.
- იყენებს განვლილი მოვლენების შეფასებას საიჯარო ვადის განსაზღვრაში, როდესაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის ვადის გახანგრძლივების ან შეწყვეტას.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები (შენიშვნა ნაგებობები)	საიჯარო ვალდებულებები
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,402,310	3,409,904
შესყიდვები	23,366	23,366
ცვეთის ხარჯი	(399,432)	-
საპროცენტო ხარჯი	-	219,498
გადახდები	-	(521,961)
საკურსო სხვაობა	-	162,039
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,026,245	3,292,845

კომპანია არ ფლობს მოკლევადიან იჯარებს და შესაბამისად არ აქვს იჯარის ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ფასს 15 ჩაანაცვლებს ბასს 11-ს სამშენებლო ხელშეკრულებები, ბასს 18 შემოსავალი და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს და მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 შემოაქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია გადავიდა ფასს 15-ზე მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული მეთოდით, სტანდარტი შეიძლება გავრცელდეს გადასვლის თარიღისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე, ან მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის ჯერ არ არის დასრულებული. კომპანიამ გადაწყვიტა, რომ გაავრცელოს სტანდარტი 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსურ ინსტრუმენტები“

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“-ს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის და გააერთიანა ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტი: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე რეტროსპექტიულად, საწყისი გადასვლის თარიღად აღებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკების სამომავლო ცვლილებები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. როგორც მოსალოდნელია,

არც ერთ მათგანს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: საქმიანობის განსაზღვრა;
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: ტერმინის „არსებითი“ განმარტება;
- საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39-სა და ფასს (IFRS) 7-ში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,191,029	318,951	55,074	121,918	1,686,972
შეძენა	68,499	80,241	28,956	98,507	276,203
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,259,527	399,193	84,030	220,426	1,963,176
შეძენა	97,528	82,790	-	15,214	195,532
გასვლა	(16,333)	-	-	-	(16,333)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,340,722	481,983	84,030	235,640	2,142,375
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(815,928)	(215,674)	(8,761)	(44,686)	(1,085,049)
წლიური ცვეთა	(139,779)	(35,982)	(7,875)	(26,688)	(210,324)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(955,707)	(251,656)	(16,636)	(71,374)	(1,295,373)
წლიური ცვეთა	(96,172)	(42,182)	(10,226)	(25,232)	(173,812)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	8,437	-	-	-	8,437
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(1,043,442)	(293,838)	(26,862)	(96,606)	(1,460,748)
ნარჩენი ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბერი	375,101	103,277	46,313	77,232	601,923
2018 წლის 31 დეკემბერი	303,820	147,537	67,394	149,052	667,803
2019 წლის 31 დეკემბერი	297,280	188,145	57,168	139,034	681,627

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ძირითადი საშუალებები არ ჩამოუწერია;

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 18,686 ლარის ოდენობის სრულად ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები. აქიდან, 16,790 ლარის თვითღირებულების მანქანა-დანადგარები, 1,550 ლარის თვითღირებულების ავეჯი და სხვა ინვენტარი, 346 ლარის ღირებულების ოფისის აღჭურვილობა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიას აქვს სასურსათო მაღაზია, შესაბამისად სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება მალფუჭებადი პროდუქტებისგან, ასევე მაღაზიაში იყიდება წვრილმანი საყოფაცხოვრებო ნივთები. სულ წლის ბოლოს არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის არის 3,350,247 ლარი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 3,225,116 ლარი;

6 დებიტორული დავალიანება

	12.31.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,551,803	1,469,496
მოთხოვნები იჯარიდან	574,515	377,217
წინასწარ გადახდები	122,060	544,510
სულ	2,248,378	2,391,223
საექვო მოთხოვნები	(251,986)	(214,240)
სულ მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	1,996,392	2,176,983

დებიტორული დავალიანების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით:

ნაშთი 2017 31 დეკემბრის მდგომარეობით	(40,072)
დარიცხვა	(174,168)
აღდგენა	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(214,240)
დარიცხვა	(37,746)
აღდგენა	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(251,986)

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის დებიტორული დავალიანების ანარიცხები მესამე დონეს განეკუთვნება.

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	12.31.2019	31.12.2018
ფული ბანკში	298,588	88,791
ნაღდი ფული	237,212	107,074
სულ	535,800	195,865

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ზრდა წინა პერიოდთან შედარებით გამოწვეულია თიბისი ბანკიდან გრძელვადიანი სესხის ათვისებით.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ფულადი ნაკადები ბანკში პირველ დონეს განეკუთვნება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8 კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 1,475,542 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 951,620 ლარს.

2018 და 2019 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

9 სასესხო ვალდებულებები

31 დეკემბერი, 2019

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	11/26/2019 - 11/26/2029	6.0%	ევრო	586,416
სს თიბისი ბანკი	30/12/2016 - 14/01/2020	7.0%	აშშ დოლარი	-
სულ				586,416
მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	11/26/2019 - 11/26/2029	6.0%	ევრო	55,484
სს თიბისი ბანკი	30/12/2016 - 14/01/2020	7.0%	აშშ დოლარი	105,235
სულ				160,719

31 დეკემბერი, 2018

გრძელვადიანი ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	30/12/2016 - 13/04/2020	7.5%	აშშ დოლარი	74,303
სულ				74,303
მიმდინარე ნაწილი	პერიოდი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	კურსი	თანხა ლარში
სს თიბისი ბანკი	30/12/2016 - 13/04/2020	7.5%	აშშ დოლარი	305,278
სს თიბისი ბანკი	30/03/2018 - 30/03/2019	11.3%	ლარი	80,000
სულ				385,278

10 კრედიტორული დავალიანება

	12.31.2019	31.12.2018
დავალიანება საქონლის მოწოდებიდან	3,832,907	4,387,430
მიღებული ავანსები	143,873	144,553
დავალიანება მომსახურების გაწევიდან	60,265	127,499
დავალიანება საწარმოს პერსონალის მიმართ	18,535	81,207
სულ	4,055,580	4,740,689

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	23,997,396	22,525,704
შემოსავალი რეალიზაციიდან-დაკავშირებული მხარე	2,209,654	2,305,537
შემოსავალი წარმოებული პროდუქტიდან	2,561,423	2,447,869
პროდუქტის დაბრუნება	(17,089)	(25,364)
სულ შემოსავალი	28,751,384	27,253,746
რეალიზებული პრიდუქციის თვითღირებულება	(23,750,386)	(22,743,851)
თვითღირებულება წარმოებული პროდუქციის	(1,305,174)	(1,201,246)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(25,055,560)	(23,945,097)
სულ ამონაგები	3,695,824	3,308,649

12 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	2,903,718	2,501,328
ცვეთა და ამორტიზაცია	546,462	79,948
მარკეტინგის ხარჯი	382,538	194,983
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	312,344	293,081
ტერმინალის საკომისიო	153,204	95,112
საოპერაციო ხარჯები	99,903	101,307
ოფისის დასუფთავება	69,346	65,805
პარკები	63,378	94,087
საექვო მოთხოვნების რეზერვი	37,770	174,168
საწვავის ხარჯი	20,026	12,859
ბანკის საკომისიო	11,159	7,678
აუდიტის ხარჯი	8,000	10,000
ქონების გადასახადის ხარჯი	7,679	7,089
იჯარის ხარჯი	-	493,617
სხვა ხარჯი	193,636	165,829
სულ	4,809,163	4,296,891

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისთვის 31 დეკემბრით დასრულებული 2019 წლისთვის შეადგენს 10,000 ლარს (დღგ-ს გარეშე) (2018: 8,000 ლარს (დღგ-ს გარეშე)).

13 შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან

მარკეტინგული შემოსავალი გულისხმობს კომპანიის მიერ სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას მომწოდებლების მოთხოვნით. ასეთებია მაგალითად, მაღაზიაში პროდუქციის ძირითად კატეგორიაში წარმოდგენა, წინასწარ შეთანხმებულ რაოდენობაზე მეტი პროდუქტის გაყიდვა, კონკრეტული სახეობის პროდუქტის წინასწარ შეთანხმებულ რაოდენობაზე მეტის გაყიდვა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთი მსხვილი დისტრიბუტორისგან მიღებული მარკეტინგული შემოსავალი შეადგენს 522,773 ლარს;

14 მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, რომლის მიხედვითაც ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2019 და 2018 საანგარიშგებო წლებისთვის კომპანიას მოგების გადასახადის ხარჯი არ წარმოქმნია.

15 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

16 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31.12.19	31.12.18
ფული და ფულის ეკვივალენტები	535,800	195,865
დებიტორული დავალიანება	1,874,327	1,632,473
სულ ფინანსური აქტივები	2,410,127	1,828,338
კრედიტორული დავალიანება	3,911,498	4,596,114
სასესხო ვალდებულებები	747,135	459,580
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,658,633	5,055,694

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ქვემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძოზიარობას:

	31.12.19	31.12.18
ფული და ფულის ეკვივალენტები	298,588	88,791
დებიტორული დავალიანება	1,874,327	1,632,473
სულ	2,172,915	1,721,264

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - უმნიშვნელო ზემოქმედებას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები 2019 წლის ბოლოსთვის.

კომპანიას არ აქვს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებითი ნაშთები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

2019				
	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	535,800	-	-	535,800
დებიტორული დავალიანება	1,874,332	-	-	1,874,332
აქტივები	2,410,132	-	-	2,410,132
კრედიტორული დავალიანება	3,716,175	-	195,532	3,911,707
საიჯარო ვალდებულებები	468,203	1,745,692	1,078,951	3,292,846
სასესხო ვალდებულებები	160,719	293,632	292,784	747,135
ვალდებულებები	4,345,097	2,039,324	1,567,267	7,951,688
წმინდა ბალანსი	(1,934,965)	(2,039,324)	(1,567,267)	(5,541,556)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივ-პასივების წმინდა ბალანსი:

	2018			
	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	195,865	-	-	195,865
დებიტორული დავალიანება	1,632,473	-	-	1,632,473
აქტივები	1,828,338	-	-	1,828,338
კრედიტორული დავალიანება	4,596,114	-	-	4,596,114
სასესხო ვალდებულებები	385,278	74,303	-	459,580
ვალდებულებები	4,981,392	74,303	-	5,055,694
წმინდა ბალანსი	(3,153,054)	(74,303)	-	(3,227,356)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 ასევე 2019 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეიქმნა 360 დღიან ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივებზე 100%-იანი განაკვეთით;

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

17 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

	2019	2018
ტრანზაქციები		
<i>შემოსავალი მომსახურებიდან და გაყიდვებიდან</i>	2,209,654	1,939,908
ნაშთები		
საიჯარო ვალდებულებები	3,185,628	-
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	2,923,875	-
დებიტორული დავალიანება	1,005,007	795,315
კრედიტორული დავალიანება	685,180	509,859

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2019 წელს შეადგინა 1,250,701 ლარი (2018: 1,169,129 ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 17,839 ლარი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაყიდვები არ ყოფილა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარისგან იჯარით აღებული ქონება ჩადებული იყო მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

18 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შპს “მემო“-ს მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის მეორე, რომელიც მან ფასს სტანდარტების სრული დაცვით მოამზადა.

2017 წლის 1 იანვრი არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად კომპანიას არ განუხორციელებია არსებითი კორექტირებები.

19 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

COVID-19 პანდემიის ფონზე გლობალური ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად შემცირდა. ვირუსის ფართო მასშტაბით გავრცელების, გეოპოლიტიკური დამაბულობისა და ნავთობის ფასების მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე, მსოფლიო მასშტაბით რისკები კიდევ უფრო გაზრდილია. შესაბამისად, ეკონომიკური პროგნოზების გარშემო არსებული გაურკვევლობა ჩვეულებრივზე მაღალია.

მიუხედავად აღნიშნული გაურკვევლობისა, ცალსახად უნდა აღინიშნოს რომ კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ბიზნეს ეფექტურობის შემცირება შესაბამისად პანდემიის გამო დამატებითი ღონისძიებების გატარება სამომავლოდ არ იგეგმება. კომპანია უცვლელად მიჰყვება პანდემიამდე შემუშავებულ სამომავლო განვითარების გეგმას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სექტემბერში გაიცა დივიდენდები ჯამური მოცულობით 60,000 ლარი;

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მემო (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის სექტემბერს.

დირექტორი: თემურ ქომეთიანი



საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. დეტალები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშენებში.

8. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

9. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გავლენა

ბოლო წლებში გატარებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად საქართველოს ფინანსური სისტემა COVID-19 პანდემიით გამოწვეულ შოკს მომზადებული შეხვდა და მდგრადობას ინარჩუნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია არაფინანსური კომპანიების საქმიანობაზე და მათ ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები გაზარდა. ყველაზე მეტად მოწყვლადი სამშენებლო და ტურისტული სექტორები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მთავრობის დროული რეაგირებით არსებულ ბაზარზე საგრძნობლად შეუმსუბუქდათ მიმდინარე საგადასახადო ტვირთი;

შპს მემოს ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი პანდემიის შესამჩნევი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაბამისად დამატებითი ღონისძიებების გატარება ამ მიმართულების არ არის დაგეგმილი.

დირექტორი: თემურ ქომეთიანი



შპს მემო

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

31 დეკემბერი 2019

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი
3. კომპანიის განვითარების გეგმები
4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
7. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
8. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად
9. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გავლენა

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მემო (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის სექტემბერს.

დირექტორი: თემურ ქომეთიანი

3. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს მემო (შემდგომში „კომპანია“) არის 2010 წელს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი გ. ჭყონდიდელის 87.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სუპერმარკეტების ფუნქციონირება საქართველოს მასშტაბით და შემოსავლების გენერირება, როგორც სადისტრიბუციო კომპანიებიდან მიღებული, ასევე საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის რეალიზაციით და შერეული საოჯახო სხვადასხვა პროდუქტებით ვაჭრობა.

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების ზრდა ვაჭრობისა და წარმოების სფეროში, რენტაბელობისა და საკუთარი პოზიციის გამყარება და ასევე მუდმივი ზრუნვა მომხმარებლისთვის ახალი და უსაფრთხო პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში მიწოდებაზე.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმების ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი ლოკაციების დამატება,
- საკუთარი წარმოებისა და სხვა პროდუქციის ასორტიმენტის განახლება,
- კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკის წარმართვა,
- დამატებითი ცვლილებები მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად.

4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში ან სხვა მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ერთ საწყობს და ერთ ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში. კომპანიას არ აქვს ფილიალები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. კომპანიის დამფუძნებლები მართავენ ძირითადი მიმართულებების დირექტორებს, რომელთა დაქვემდებარებაში არიან ძირითად მიმართულებებზე მომუშავე თანამშრომლები.



კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წლის ბოლოსთვის არის 229. კომპანიაში დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები. თანამშრომლები არ არიან დაზღვეულები, ამასთან მუდმივად ხდება მათი მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვა.

შემოსავლებში დანახარჯების წილებზე ეფექტური მართვის მეშვეობით შპს მემო 2010 წლიდან წარმატებით ოპერირებს ქართულ ბაზარზე.

მონაცემები მოცემულია ერთეულ ლარში:

	2019	2018
შემოსავალი	28,751,384	27,253,746
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(25,055,560)	(23,945,097)
ამონაგები	3,695,824	3,308,649
ამონაგების მარჟა	12.9%	12.1%

როგორც ცხრილიდან ჩანს 2019 წელს წინა წელთან შედარებით ამონაგების მარჟა გაზრდილია რაც განპირობებულია შემოსავლის 0.9%-ით მეტჯერ ზრდით პროდუქციის თვითღირებულების ზრდასთან შედარებით.

7. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- ზოგადი რისკები
 - გარემო რისკი;
 - საკანონმდებლო რისკი;
- ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები
 - საკრედიტო რისკი;
 - ლიკვიდურობის რისკი;
 - საბაზრო რისკი;
 - სავალუტო
 - საპროცენტო

ზოგადი რისკები

გარემო რისკი

კომპანია არ ახორციელებს ექსპორტს, იგი მხოლოდ საქართველოში საქმიანობს, რის გამოც მის ფინანსურ მაჩვენებლებზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენცია და სხვა. აღნიშნული რისკების გავლენების შესამცირებლად კომპანიაში მიმდინარეობს გარემო ფაქტორების მუდმივი ანალიზი და საჭიროებისამებრ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

საკანონმდებლო რისკი

კომპანიის ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. იმისათვის რომ ბიზნეს საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან და თავიდან იქნეს აცილებული საგადასახადო და საკანონმდებლო რისკები, კომპანია უწყვეტად ეცნობა მიმდინარე და სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებებს და ახდენს მის მონიტორინგსა და ანალიზს.

ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

აღნიშნული რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანია ახდენს მსხვილი კლიენტების გადახდისუნარიანობის ანალიზს და მხოლოდ ამის შემდგომ სთავაზობს სტანდარტულ პირობებს.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

აღნიშნული რისკის თავიდან აცილების მიზნით კომპანია უზრუნველყოფს აქტივ-პასივების მართვას სამომავლო ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე. ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების დახმარებით ამონაგების ოპტიმიზაციის საფუძველზე.

კომპანიის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება ეროვნული ვალუტის მიმართ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტის გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება ევროში და აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს კომერციული ბანკებისგან.

ანალიზის შედეგად შეფასდა, რომ კომპანიას მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი არ აქვს. დეტალები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. დეტალები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში.

8. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

9. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გავლენა

ბოლო წლებში გატარებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად საქართველოს ფინანსური სისტემა COVID-19 პანდემიით გამოწვეულ შოკს მომზადებული შეხვდა და მდგრადობას ინარჩუნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია არაფინანსური კომპანიების საქმიანობაზე და მათ ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები გაზარდა. ყველაზე მეტად მოწყვლადი სამშენებლო და ტურისტული სექტორები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მთავრობის დროული რეაგირებით არსებულ ბაზარზე საგრძნობლად შეუმსუბუქდათ მიმდინარე საგადასახადო ტვირთი;

შპს მემოს ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი პანდემიის შესამჩნევი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესაბამისად დამატებითი ღონისძიებების გატარება ამ მიმართულების არ არის დაგეგმილი.

დირექტორი: თემურ ქომეთიანი